საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კევრი

კევრი [ს კ ვ ე რ ი (რაჭა, ქვემო ქართლი), კ ი ა ვ ი რ (სვანეთი)], პურეულის სალეწი იარაღი. ტრაპეციის ან სამკუთხედის ფორმისაა. შეკრულია გათლილი ფიცრებისაგან. გვხვდება „ერთიანი" – ცალფიცრიანი ან ერთ ხეში გამოყვანილი „ორიანი" – ორფიცრიანი და სამფიცრიანი კ. აგებულებითა და დამზადების ტექნიკით ცნობილია თავიანი (თავაწეული, ნავიანი) ან სწორი (ბრტყელი, უთავო). მისი ძირი ქვით ან ქვითა და რკინით (კაჟისა და რკინის ნატეხები) არის მოკოხილი (რკინა თავთავს ჭრიდა, ქვა კი ბუდიდან მარცვალს ფშვნეტდა). კ-ში აბამდნენ ხარს ან ცხენს. საქართველოში კ-ის გავრცელების არეები დაკავშირებული იყო ხორბლის გარკვეულ ჯიშებთან. „ქართული კევრი" ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და დას. საქართველოს ზოგიერთ ოლქში იყო გავრცელებული, „თრიალეთური" – უმთავრესად კახეთში და ა. შ. სამხრ. კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში კ. ცნობილია ძვ. წ. I ათასწლეულიდან. განათხარი კ-ის ნაშთები აღმოჩენილია ხოვლეგორაზე (ძვ. წ. XI–IX სს.), მცხეთაში (ძვ. წ. VII–VI სს.), უფლისციხეში (ანტიკური ხანა), კავთისხევში (გვიანდ. ფეოდ. ხანა) და სხვ.

ლიტ.: გ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962; მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს., კევრი, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1936, ტ. 9; ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი ტ., მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1951, ტ. 12, № 1.

გ. გასიტაშვილი